1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	8 800.0	9 568.4	9 567.5	100 %	199 324.8

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 193 340 გასვლა);
- რეგიონალური დანაყოფების ცენტრალური დაკვირვების პულტის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა 4 ცალი სერვერი;
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი;
- განხორციელდა (AES) ცენტრალური გარდამქმნელების, რადიო მოდულების, ცენტრალური მიმღებების და ქსელის მონიტორინგის სისტემების, 4 სერვერის და 10 სადისპეჩერო სადგურის და ციფრული რადიო კავშირგაბმულობის 5 სადისპეჩერო კონსოლის შეძენა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მეტად დახვეწილი და გამართული დაცვითი მომსახურება;
- თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;
- თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფები, ასევე დასაცავი ობიექტები;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რეაბილიტირებული და აშენებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამართულია დაცვითი მომსახურება;
- განახლებულია ცენტრალური დაკვირვების პულტის მოძველებული ტექნიკური საშუალებები თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით;
- შეძენილია 45 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი (ფურგუნის ტიპის) მიკროავტობუსი, 20 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი პიკაპის ტიპის ავტომანქანა, 15 ერთეული ოპერატიული დანიშნულების მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა, 2 ერთეული ელექტრო ავტომანქანა და 15 ერთეული ფურგუნის ტიპის მსუბუქი ავტომანქანა;
- გარემონტებულია დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მეორე და მეექვსე სართულზე სამუშაო ოთახები, აჭარის დპ სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ფასადი და დერეფნები. მოწყობილია არქივის ოთახი. გარემონტებულია ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 128 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ინდიკატორის დასახელება - დაცვის ობიექტების მაჩვენებელი;
დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ხორციელდება 15 625 ობიექტის დაცვა. მ.შ. საპოლიციო ძალით დაცულია 767 ობიექტი, ტექნიკური საშუალებებით – 14 638 ობიექტი, შერეული დაცვა ხორციელდება 220 ობიექტზე, პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 251 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 353 ერთეულს;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი გაზრდილია 20%-ით;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: საბაზისო მაჩვენებელი გაზრდილია 4.6 %-ით.
2. ინდიკატორის დასახელება - დასაცავი ობიექტების თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვის მაჩვენებელი;
დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - AES და SIS სისტემური და პროგრამული მომსახურება უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით 15 000-მდე აბონენტის გამართულ მუშაობას. არსებული სიგნალების მიმღებ-გადამცემი გამაძლიერებელი სისტემა ჩასანაცვლებელია ციფრული სიგნალების მიმღებ-გადამცემი IP სისტემით. არსებული სიგნალების დამუშავება ხდება ცენტრალური დაკვირვების პუნქტებზე განლაგებულ სერვერებზე და სადისპეჩერო სადგურებზე რომლებიც ექსპლუატაციაშია 2018 წლიდან და ნაწილობრივ ამორტიზირებულია. დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით დაცვაში არსებული ობიქტები, რომელთა დაცვაც ხორციელდება GSM გადამცემებით არ არის ცენტრალიზებული, არ აქვს აღრიცხვის და მონიტორინგის სისტემა (ინფორმაციის მიღება ხდება მობილური ტელეფონით). დეპარტამენტსა და რეგიონებში ტექნიკურად მოძველებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, ხარვეზით მუშაობს ობიექტებზე დამონტაჟებული გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, თანამედროვე ციფრული რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფილია ქ. თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის რეგიონი, ინკასაციის სამმართველო, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო და ოპერატიული რეაგირების ჯგუფები. სამმართველოს პროგრამული უზრუნველყოფა რისი მეშვეობითაც ინკასაციის სამსახური ორგანიზაციებიდან ღებულობს და ანაწილებს დავალებებს ამ ეტაპზე ემსახურება 26

ორგანიზაციას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - იმერეთი, გურიის, აჭარის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში პროგრამული და ფიზიკური დაცვითი - საგანგაშო სიგნალების მიმღებ-გადამცემი სისტემა (AES) განახლებულია, დაფარვის ქსელი გაზრდილია და არსებული სიგნალების მიმღებ-გადამცემი გამაძლიერებელი სისტემა ჩანაცვლებულია ციფრული სიგნალების მიმღებ-გადამცემი IP სისტემით, სიგნალების მონიტორინგის სისტემის (SIS) პროგრამული უზრუნველყოფა განახლებულია, სიგნალების დამუშავების სერვერები და სადისპჩერო სადგურები განახლებული-ჩანაცვლებულია, აღნიშნულ რეგიონებში მდებარე ობიექტებში, რომელთა ტექნიკური საშუალებებით დაცვა ხორციელდება GSM გადამცემით და არ არის ცენტრალიზებული, GSM სისტემა ცენტრალიზებული და დანერგილია. თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთი-გურიის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში განახლებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები (ანალოგიური სისტემების ციფრული სისტემებით ჩანაცვლება, პერიმეტრის კონტროლის სისტემა). ციფრული რადიო საშუალებებით აღჭურვილია და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები განახლებულია თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთი-გურიის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოებში, ასევე საავიაციო უშიშროების სამმართველოში, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოში, ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის სამმართველოსა და წყალმომარაგების ობიექტების დაცვის სამმართველოში. ინკასაციის სამმართველოს და მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს ახალი პროგრამული უზრუნველყოფა შექმნილია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2024 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონებში განახლებულია პროგრამული და ფიზიკური დაცვითი - საგანგაშო სიგნალების მიმღებ-გადამცემი სისტემა (AES). დაფარვის ქსელი გაზრდილია და არსებული სიგნალების მიმღებ-გადამცემი გამაძლიერებელი სისტემა ჩანაცვლებულია ციფრული სიგნალების მიმღებ-გადამცემი IP სისტემით. სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთი-გურიის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის რეგიონში ცენტრალური დაკვირვების პულტის სისტემების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემები გეგმიურად განახლებულია. სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთი-გურიის და აჭარის რეგიონებში სამმართველოები ციფრული რადიო საშუალებებით აღჭურვილია და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები განახლებულია. აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის რეგიონებში დაცვის ტექნიკურ საშალებებით დაცვის სისტემის ცენტრალური მიმღებები ჩანაცვლებულია ახლით. იმერეთი-გურიის და აჭარის რეგიონალური სამმართველოები ციფრული რადიო საშუალებებით აღჭურვილია და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები განახლებულია.

3. ინდიკატორის დასახელება - ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილებისა და ინკასაციის ჯგუფების, ასევე დასაცავი ობიექტების თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ვარგისია ექსპლუატაციისათვის ინკასაციის მანქანების 60%, ხოლო ოპერატიული რეაგირების ჯგუფის მანქანების - 95%;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილია 40 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა (არსებული ბაზის 28.8%-ით განახლება), შეძენილია 40 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (არსებული ბაზის 10.8%-

ით განახლება), შეძენილია 20 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა (არსებული ბაზის 27.8%-ით განახლება);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია 45 ერთეული სპეციალიზირებული დაჯავშნილი (ფურგუნის ტიპის) მიკროავტობუსი, 20 ერთეული სპეციალიზირებული დაჯავშნილი პიკაპის ტიპის ავტომანქანა, 15 ერთეული ოპერატიული დანიშნულების მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა, 2 ერთეული ელექტრო ავტომანქანა და 15 ერთეული ფურგუნის ტიპის მსუბუქი ავტომანქანა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ფურგუნის ტიპის მსუბუქი ავტომანქანები გამოიყენება ტექნიკური ჯგუფების მიერ თბილისსა და 8 რეგიონალურ სამმართველოში არსებულ ობიექტებზე დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის მომსახურეობის მიზნით, ასევე სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების განსახორციელებლად. ვინაიდან, არსებულ ავტომანქანებს აქვს მაღალი გარბენი და ექსპლუატაციის პროცესში ხშირად გამოდიან მწყობრიდან, მოხდა მოძველებული ავტომანქანების ჩანაცვლება.

4. ინდიკატორის დასახელება - შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ან/და მშენებლობის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 56 შენობა-ნაგებობა, საიდანაც 25 შენობა აკმაყოფილებს სამუშაო პირობებისთვის საჭირო მოთხოვნებს, ხოლო დარჩენილი 31 შენობა სარემონტოა (მ.შ. 15 საჭიროებს კოსმეტიკურს, ხოლო 16 – კაპიტალურ რემონტს). დასაცავი ობიექტების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე საჭიროა ახალი ჯიხურების შეძენა და არსებულის გარემონტება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული - 6 შენობა, ადმინისტრაციული შენობის -1 სართული; შეღებილი -ადმინისტრაციული შენობის ფასადი; აშენებული - 2 საცავი (ე.წ. საკასო ცენტრი), დასაცავი ობიექტებისათვის შეძენილი 40 ცალი დაცვის ჯიხური, ხოლო გარემონტებული - 440;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გარემონტებულია დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მეორე და მეექვსე სართულზე სამუშაო ოთახები, აჭარის დპ სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ფასადი და დერეფნები. მოეწყო არქივის ოთახი. გარემონტდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 128 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური.